შირაქი

SHIRAKI

www. opentext. ge

გამოდის 1937 წლიდან

№12 (9.577)

6-13 აპრილი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

„ბაღები ჩვენი პრიორიტეტია“

სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაღის შენობა მძიმე მდგომარეობაშია. შენობა ძალზე მოძველებულია, ათეულობით წელია, სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებია, რის გამოც არაერთმა პრობლემამ იჩინა თავი. როგორც ბაღის დირექტორმა მაკა ზურაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, უამინდობის დროს შენობაში ისევე წვიმს, როგორც გარეთ. იატაკიც ბევრგან მორყეულია. შიშობენ, რომ შესაძლოა ღრმულებიდან ზაფხულში ქვეწარმავალიც ამოძვრეს და ბავშვებს საფრთხე შეუქმნას.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხების გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფლის საერთო კრებები გრძელდება. ამგვარი კრება სოფელ სამრეკლოშიც გაიმართა. შეხვედრაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო, ნაწილი გზების, ნაწილი სპორტული მოედნის, ნაწილი კი საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის მომხრე იყო. თუმცა საბოლოოდ, კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით გამოვლინდა, რომ სოფლის პროგრამით გათვალისწინებული თანხა ძირითადად საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას მოხმარდება. სამუშაოებზე 57 ათასი ლარი დაიხარჯება.

შეხვედრაზე გაიჟღერა სხვა შენობაში გადასვლის საკითხმა, თუმცა აღინიშნა, რომ პროცედურულად ახალი შენობის შეძენა მარტივი არ არის. ადგილობრივებმა ასევე განმარტეს, რომ ამ შენობის გაუქმებისა და სხვაგან გადასვლის შემთხვევაში ეს ადგილი განადგურდება.

თავის მხრივ, დედოფლისწყაროს გამგებელმა ირაკლი შიოლაშვილმა შეხვედრაზე მოსახლეობას პირობა მისცა, რომ დამატებით, ამ პროგრამისგან დამოუკიდებლად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით, სოფლის შესასვლელში მდებარე გმირთა მემორიალის გალავანის რეაბილიტაციას მოახდენენ.

ირაკლი შიოლაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა,რომ პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და შესრულების მონიტორინგს სამინისტროსთან ერთად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც განახორციელებს, რაც სამუშაოების ხარისხს კიდევ უფრო აამაღლებს. კრების დამთავრების შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი ბაგა-ბაღს ეწვია და არსებულ მდგომარეობას ადგილზე გაეცნო.

„კმაყოფილი ვარ სამრეკლოში გამართული შეხვედრით. სწორედ ეს არის დემოკრატიული პროცესის გამოხატულება. მოსახლეობის ნაწილი სხვა პროექტის განხორციელებას უჭერდა მხარს, ნაწილი სხვას. ჩვენ ხალხის აზრს ვითვალისწინებთ და რადგან აზრები გაიყო, სპეციალური გამოკითხვა ჩავატარეთ და სოფელმა მიიღო ბრძნული გადაწყვეტილება -ბაღის რეაბილიტაცია შეირჩა. **ბაღი ერთ და ორ ოჯახს არ შეეხება, ის მთელი სოფლის საკუთრებაა და ყველა ოჯახის შვილმა რამდენიმე წელი სწორედ ამ კედლებში უნდა გაატაროს. მივესალმები ამ გადაწყვეტილებას, უმჯობესი იყო ისეთი პრობლემა გადაგვეჭრა, რაც სოფელს მასობრივად აწუხებს. ერთად მოვინახულეთ ბაღის შენობა და ვნახეთ, რომ ცუდ ვითარებაშია. იმ დროს, როცა ჩვენი პოზიციაა, რომ ბაღი იყოს უფასო, იმ პირობებში, როცა კვება გაუმჯობესდა და საბავშვო ბაღების აღჭურვა მიმდინარეობს, რომ სამაცივრე სისტემები და გათბობა მოწესრიგდეს, ამდენი წინსვლის ფონზე, ყოვლად დაუშვებელია ბავშვები ასეთ შენობებში გვყავდეს. პრიორიტეტები არსებობს, მაგრამ ბაღები არის ნომერ პირველი პრიორიტეტი, რადგან საქმე ეხება ბავშვებს და ისინი ჩვენი მომავალია,“** - აღნიშნა გამგებელმა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამართულ სოფლის კრებებზე ქედების ზონის ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობამაც პრიორიტეტად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მიიჩნია. მოსახლების განცხადებით, ამის საჭიროება ბავშვების რაოდენობის მკვეთრმა მატებამაც გამოიწვია. საერთო კრებაზე ზემო ქედელებმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს,რომ სოფლისთვის განკუთვნილი 52,216 ლარით საბავშვო ბაგა-ბაღს შეაკეთებენ, დარჩენილი თანხით კი მეორე ბაღისათვის შენობას შეიძენენ, რომელიც ამჟამად ნაქირავებ კერძო სახლშია განთავსებული.

პირველი რიგის საჭიროებად ქვემო ქედელებმაც საბავშვო ბაღის რემონტი დაასახელეს. ქვემო ქედელთა განმარტებით, მას შემდეგ, რაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უფასო გახდა, ბევრ ოჯახს ბავშვების ბაღში მიყვანის საშუალება მიეცა. კონტიგენტის ზრდამ კი დღის წესრიგში შენობის გაფართოება და კეთილმოწყობა დააყენა. მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეკეთდება ასევე სოფლის ადმინისტრაციული შენობა და გადაიღობება სახნავ-სათესი ნაკვეთებისაკენ მიმავალი გზა. ორივე ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობამ საკუთარი არჩევანი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილისა და საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ნატროშვილის თანდასწრებით დააფიქსირა.

ირაკლი შიოლაშვილმა ხალხს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი პროექტები დეტალურად გააცნო და მათ შეკითხვებს უპასუხა.

ილია მარტყოფლიშვილი

დათვი ვაშლოვანის ნაკრძალში

გვ. 2

სასოფლო-სამეურნეო ბარათებს მოსახლეობა მალე მიიღებს

გვ. 2

35 წელი ელექტროენერგიის გარეშე...

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

სასოფლო- სამეურნეო ბარათებს მოსახლეობა მალე მიიღებს

კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოპოვებული მონაცემებით, რეგიონში 66 692 ოჯახს სასოფლო — სამეურნეო ბარათი ამ დრომდე არ მიუღია.

დედოფლისწყაროში სასოფლო სამეურნეო ბარათები 8 425 ოჯახს არ მიუღია, აქედან, 3 731 ოჯახი ძირითად სიაში, 4 694 ოჯახი კი დამატებით სიაშია შეყვანილი. ბარათი რაიონში ამ დროისთვის 3 665-მა ოჯახმა მიღო.

მსგავსი სიტუაციაა კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნანიკო ჩინჩილაკაშვილი განმარტავს, რომ სამინისტროს ვებგვერდზე 4 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში, პირველი ეტაპის დასრულებაზე იყო საუბარი. კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოპოვებული მონაცემების მიუხედავად, ნანიკო ჩინჩილაკაშვილი აცხადებს, რომ კახეთში, ძირითად სიაში შეყვანილ მოსახლეობაზე ბარათების გაცემა ფაქტობრივად დასრულდა და 10 დღეში დამატებითი სიებიც გადმოიგზავნება.

„ბარათების გაცემა მიმდინარეობს აგვროვადების დაცვით. ჯერ დაიწყო ქვემო ქართლიდან, სადაც უფროს ადრე იწყება სამუშაოები, შემდეგ კახეთი და ასე შემდეგ. საგაზაფხულო სამუშაოები იმიტომ ჰქვია, რომ გაზაფხულზე იწყება სამუშაოები, მარტიდან და დაგვიანებული არ არის, კულტურას გააჩნია. ხორბლისთვის მაგალითად ახლა დაგვიანებულია იმიტომ, რომ ნოემბერში ითესება. დაახლოებით ათ დღეში კახეთში ყველა მიიღებს ბარათებს, ის ოჯახებიც, რომლებიც დამატებით სიებში არიან შეყვანილები“, - აღნიშნა ნანიკო ჩინჩილაკაშვილმა.

(ick)

7 აპრილს ხარებაა

ხარება ქრისტიანულ ეკლესიაში ერთ-ერთი საუფლო უძრავი დღესასწაულია, რომელიც ყოველწლიურად 7 აპრილს აღინიშნება.

სახარების მიხეედვით, ღვთისმშობელ მარიამს სწორედ ამ დღეს გამოეცხადა გაბრიელ მთავარანგელოზი, რომელმაც მას ახარა, რომ ის შობდა იესო ქრისტეს, ძე ღვთისას.

ამ დღესთან დაკავშირებით ეკლესია მონასტრებში საზეიმო წირვა აღევლინება.

ლუკას სახარების მიხედვით, ღვთისმშობელს გამოეცხადა უფლისაგან გამოგზავნილი ანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდეს! მომადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის. ნუ გეშინია, მარიამ, ვინაიდან მადლი ჰპოვე ღმერთთან. აჰა, დაორსულდები და შობ ძეს და სახელად იესოს დაარქმევ. დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება. მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის, დავითის, ტახტს და უკუნისამდე იმეფებს იაკობის სახლზე და მის მეფობას არ ექნება დასასრული.“

როტა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით ხორციელდება ზედამხედველობა 5 წლამდე ასაკის დიარეის მქონე ჰოსპიტალიზებულ ბავშვზე. ზედამხედველობის შედეგად გამოვლინდა, რომ შესწავლილი დიარეების 35 % გამოწვეულია როტა ვირუსით. ზოგადად საქართველოში დიარეული დაავადებები 0-3 წლის ასაკის ბავშვთა 15-17 ჰოსპიტალიზაციის მიზეზი ხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების საფუძველზე სშჯსდ სამინისტომ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყნის პროფილაქტიკური აცრების კალენდარში როტავირუსული ინფექციის საწინაარმდეგო ვაქცინაციის ჩართვის შესახებ.

როტავირუსული ინფექციის საწინაარმდეგო ვაქცინაცია იწყება 2 თვის ასაკიდან. აცრის კურსი არის ორჯერადი:როტავირუსის დოზა უნდა გაკეთდეს 8 კვირის ასაკიდან 15 კვირის ასაკამდე, მეორე დოზა კი,-12 კვირის ასაკიდან 24 კვირის ასაკამდე. პირველი და მეორე ვაქცინაციას შორის ინტერვალი 4 კვირაა.

სამაგისტრო გამოცდისთვის რეგისტრაცია დაიწყო

საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია დღეს დაიწყო და 25 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2013 წელს მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციას გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გაივლიან (www.naec.ge; online@naec.ge).

ინტერნეტით რეგისტრაციისათვის მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა, მან ასევე უნდა გადაიხადოს გამოცდაში მონაწილეობის საფასური.

2013 წელს მაგისტრანტობის მსურველები ერთსა და იმავე საგამოცდო ტესტს აღარ ჩააბარებენ, მათთვის მიმართულებების მიხედვით მუშავდება სხვადასხვა ტიპის ტესტური დავალებები.

10 აპრილს 16:00 საათზე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ღია კარის დღე გაიმართება. ღია კარის დღეზე ყველას ექნება შესაძლებლობა დეტალური ინფორმაცია მიიღოს მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ.

სოფელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭება

„სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ” კანონპროექტის მიხედვით, საქართველოში თითოეულ სოფელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭება. სტატუსის შესაბამისად სოფელს შეეძლება ფლობდეს ქონებას, დადოს გარიგებები, მიიღოს შემოსავლები, იყოს მოსარჩელე ან მოპასუხე სასამართლოში.

სოფელს შეეძლება მართოს საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონება, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენაში, თავად გადაწყვიტოს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. მას ასევე შეეძლება საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად არასამეწარმეო და კერძო სამართლის იურიდიული პირები დააფუძნოს.

კანონპროექტის თანახმად, საზოგადოებრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანოები საერთო კრება, საერთო კრების წარმომადგენელთა საბჭო და საერთო კრების თავმჯდომარე იქნება. საერთო კრება სოფლის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქეს გაერთიანებს. საერთო კრების წარმომადგენლობითი ორგანოს ერთი წლის ვადით ფარული კენჭისყრით საერთო კრება აირჩევს.

პარლამენტში ინიცირებული პროექტის მიხედვით, საზოგადოებრივ თვითმმართველ ერთეულს დამოუკიდებელი შემოსავლები და ხარჯთაღიცხვა ექნება. მას 2016 წლის 1 სექტემბრამდე უვადო და უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაეცემა მის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტყე და წყალი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი იქნება საზოგადოებრივ თვითმმართველ ერთეულს ხელშეკრულებით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადასცეს უძრავი და მოძრავი ქონება, მათ შორის მის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და შენობა-ნაგებობები.

კანონპროექტის თანახმად, სოფელს ენიჭება უფლება გაერთიანდეს მის მუნიციპალიტეტში შემავალ სხვა სოფლებთან, ასევე გაიყოს ორ ან მეტ საზოგადოებრივ თვითმმართველ ერთეულად და ერთობლივი საქმიანობის გახორციელებეის მიზნით ხელშეკრულება დადოს სხვა საზოგადოებრივ თვითმმართველ ერთეულთან.

კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. მისი ავტორები რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ერეკლე ტრიპოლსკი და მისი პირველი მოადგილე გია ჟორჟოლიანია.

ვაშლოვანის ნაკრძალში ფოტოხაფანგმა დათვი დააფიქსირა

დედოფლისწყაროში დათვი გამოჩნდა – ჩვენს მუნიციპალიტეტში მდებარე ვაშლოვანის ნაკრძალში დამონტაჟებულმა ფოტოხაფანგმა მურა დათვი დააფიქსირა. კადრი 26 მარტს, ღამის 02:56 საათზეა გადაღებული. ფოტოსურათი გაზეთ „შირაქს“ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან მიაწოდეს. არსებობს ფაქტის ამსახველი ვიდეომასალაც.

ნაკრძალის ადმინისტრაციაში ადასტურებენ, რომ დედოფლისწყაროში დათვი გამრავლებას ახერხებს, თუმცა ამ მხრივ პრობლემები მაინც არის.

„დათვის დაფიქსირება მეტყველებს იმაზე, რომ საბედნიეროდ, ვაშლოვანის ნაკრძალში დათვის მდგრადი პოპულაცია არსებობს. თუმცა, მისი ფოტოზე დაფიქსირების ფაქტები ხშირია,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ვაშლოვანის ნაკრძალის ადმინისტრაციის ვაჟა ჩერქეზიშვილმა.

„ვალოვანის მეგობართა ასოციაციის“ წარმომადგენელი, ასევე ადამიანისა და მტაცებლის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის ხელმძღვანელი თემურ პოპიაშვილი ამბობს, რომ მისთვის დათვის დაფიქსირება მოულოდნელი არ ყოფილა და აღნიშნავს, რომ ვაშლოვანში დათვის არაერთი ინდივიდი ბინადრობს.

„ვალოვანში დათვი სულ არის, თანაც არა ერთი ინდივიდი.. ასე რომ, საკმაოდ ბევრი ფოტოები აქვს ნაკრძალის ადმინისტრაციას. ვიდრე ფოტოხაფანგებს ნაკრძალი დაამონტაჟებდა, მანამდე ნაკრძალში „ნაკრესის“ ფოტოხაფანგები მუშაობდა, შემდეგ ნაკრძალმა დაამონტაჟა და უამრავი საინტერესო მომენტი აღიბეჭდა. მინდა გითხრათ, რომ დათვები მრავლდებიან, მაგრამ არა ისე, რომ რაოდენობა მატულობდეს. პირიქით, ძალიან უჭირს ვაშლოვანელ დათვებს. თითქმის ყველაფრით იკვებებიან — მცენარეული (კენკრა, ბროწეული, თაფლი), ხორცი, ლეში და მწერები,“ — განუცხადა „შირაქს“ თემურ პოპიაშვილმა.

შეგასენებთ, ვაშლოვანის ნაკრძალში ფოტოხაფანგმა თავდაპირველად ლეოპარდი 2004 წელს დააფიქსირა. მოგვიანებით, ის უკვალოდ გაუჩინარდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ლეოპარდმა ჩვენი ქვეყნის საზღვარი გადაკვეთა. ლეოპარდის არსებობასთან დაკავშირებით, გაზეთ „შირაქს“ დაცული ტერიტორიების სააგენტოში დაუდასტურეს, რომ ამ წელს ფოტოხაფანგს ლეოპარდი ჯერ არ დაუფიქსირებია.

მიმდინარე წლის 24 მარტს, დათვის გამოჩენამდე ორი დღით ადრე ფოტოხაფანგმა ვაშლოვანის ნაკრძალში ფოცხვერიც აღბეჭდა. როგორც გაზეთ „შირაქს“ საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს პრესსამსახურიდან აცნობეს, ფოტოხაფანგების მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი თებერვლის თვე იყო, რა დროსაც ნაკრძალში არაერთი საინტერესო კადრი დაფიქსირდა.

11 თებერვალს ვაშლოვანში მაჩვზღარბა გამოჩნდა. სპეციალისტების განმარტებით, ფოტოზე გადაღებული მაჩვზღარბა არა მარტო ვაშლოვანშია დაფიქსირებული, ამ ცხოველის ერთეული ეგზემპლარები ბევრად გაცილდნენ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს და მისი დაფიქსირების შემთხვევები იყო ლაგოდეხის რაიონში (ჭიაურის ტყე) და ნაკრძლის მიმდებარე ტერიტორიაზეც, რაც დასტურდებოდა ცხოველის დაკარგული ეკლების აღმოჩენითა თუ მისი დანახვით. თუმცა, სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს ფაქტები იმდენად იშვიათი და მოულოდნელია, არავის შეუძლია მათი ფოტომასალით დადასტურება.

16 თებერვალს ფოტოხაფანგმა გარეული ღორი დააფიქსირა. ვაშლოვანში მრავლად ფიქსირდება კურდღელიც.

ილია მარტყოფლიშვილი

საქველმოქმედო კონცერტმა გაამართლა

როგორც ჩვენი გაზეთითაც ვიტყობინებოდით, 30 მარტს ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა სოფელ გამარჯვებაში ტაძრის მშენებლობის დაწყების მიზნით. სოფელში ამჟამად მხოლოდ სამლოცველო სახლი მოქმედებს, რომელიც რწმუნებულის შენობაშია განთავსებული და მრევლს ვერ იტევს. რამდენიმე წელია, გამარჯვებელებს ტაძრის აშენების სურვილი აქვთ, მაგრამ პრაქტიკულად მშენებლობის დაწყება ვერ მოხერხდა. ახალმა რწმუნებულმა გიორგიჭინჭარაულმა, რომელიც "ოცნების" ეგიდით მოვიდა, მიზნად დაისახა ამ იდეის განხორციელება. მას მხარში დაუდგა მამა იოანე გივიშვილი. იგი ამ სოფლის მკვიდრია. ჴპაპის მოსახელე ვასილ გივიშვილმა (როგორც მას საეროდ მოიხსენიებდნენ) გამარჯვების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო აკადემიაში გააგრძელა სწავლა, მუშაობდა ვაზიანის სამხედრო ბაზაში და წარმატებულიც გახლდათ, მაგრამ.. ასე გადაწყვიტა–ბერად აღიკვეცა და თავი უფლის და ხალხის სამსახურისათვის გადადო. 11 წელი მოღვაწეობდა ნეკრესისა და ლომისციხის ტაძრებში. ახლა მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და სამლოცველო სახლში წირვა-ლოცვას აღავლენს.

– ტაძარი ყოვლადწმინდა-სამების სახელობის იქნება, მაკეტი მზად არის. მისი პარამეტრები 10X18 მეტრზე იგეგმება. ახლა მუშაობა მიმდინარეობს ხარჯთაღიცხვაზე. ადგილიც სოფლის ცენტრში, სკოლის ყოფილი საცდელი ნაკვეთის ტერიტორიაზე შევარჩიეთ. სკოლაც და საბავშვო ბაღიც იქვეა. სასურველი იქნება, თუ ცოდნის და სულიერების ტაძრები ერთმანეთის სიახლოვეს იქნება, ეს ხელს შეუწყობს მოზარდების სულიერ ჩამოყალიბებას ადრეული ასაკიდან. თუმცა, ეს საკითხი ჯერ ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, რადგან მიწა განათლების სამინისტროს ბალანსზე ირიცხება. იმედს გამოვთქვამ,რომ რაიონის ხელმძღვანელობა მხარში დაგვიდგება, გვიშუამდგომლებს შესაბამის სამსახურებთან და ამ საკითხს დადებითად გადაგვიწყვეტს–თქვა მამა იოანემ ჩვენთან საუბრისას.

კონცერტი კი, რომელიც ამ მშენებლობისათვის თანხების მოსაზიდად გაიმართა, მაღალ დონეზე ჩატარდა. დარბაზი და ბალკონი ისე იყო გადაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. ეს არ იყო მხოლოდ სანახაობრივად საინტერესო, ეს იყო შინაარსობრივად დატვირთული ღონისძიება, რომელიც უკეთილშობილეს მიზანს ემსახურებოდა. აკი ამიტომაც დათანხმდნენ შემსრულებლებლები ენთუზიაზმზე გაემართათ ეს კონცერტი. ქართული ფოლკლორის ზეიმი ხევსურულ დიალექტზე–ასე დავარქმევდი იმ პროგრამას, რითაც მსმენელის წინაშე წარსდგნენ ანსამბლი „ქართველო", „ხევსურულ სახლთან" არსებული გოგონათა ანსამბლი, დები გოგოჭურები, ზვიადაურები და ნაყეურები, ისმოდა მჭექარე სატრფიალო თუ პატრიოტული სიმღერები, ერთად და ცალ-ცალკე ხმებს უხამებდნენ ერთმანეთს ჩონგური, ფანდური, სალამური, დოლი თუ გუდასტვირი.ჴპირველად ვართო დედოფლისწყაროში, ბრძანეს „ქართველოს" ბიჭებმა და გვინდა, თავი დაგამახსივროთო, მართლაც დაუვიწყარი იყო მათ მიერ ნამღერი. დარბაზი ოვაციით შეხვდა ვაჟთა ანსამბლ „ჰერულას", რომელშიც ჩვენი ინგილო ძმები ჰერეთიდან სუფთა ქართულით მღეროდნენ: „ჰოი, საქართველოს ნიავო, დაჰქროლე საინგილოში. ქართველი დავრჩი ქართველად, სხვა მეტი არა მინდარაო". ანსამბლის ხელმძღვანელი და სოლისტი სამთაწყაროელი გიორგი პაპიაშვილი მადლობას უხდის თავის სიმღერის პედაგოგს მარიკა ალადაშვილს იმ ამაგისათვის რაც მას დასდო და გუნდის სამომავლო გეგმებზე ორიოდე სიტყვით გვიამბობს:– ეს ბიჭები ყველა ინგილოები არიან და ამჟამად თბილისში, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ. ჩვენ გვიწვევენ კონცერტებზე, ვცდილობთ, თავი დავიმკვიდროთ ქართულ სცენაზე. სულ მოკლე ხანში გამოვალთ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ასევე ეკლესიისათვის გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე. გვაქვს სხვა უფრო დიდი გეგემებიც, რომელზეც ჯერ ვერ ვლაპარაკობთ.

თავისი შემოქმედება გააცნეს დამსწრეთ ახალგაზრდა პოეტებმა: გიორგი, თემო და მერაბ არაბულებმა, ირაკლი ჭინჭარაულმა და თორნიკე ნაროზაულმა. მიუხედევად იმისა, რომ ისინი ძირითადად დედაქალაქში ცხოვრობენ, მათ შემოქმედებაში ხევსურული კილო-კავი და ტრადიციები მძლავრობს, მთის ძარღვიანი და გაუხეტელი სიტყვა ისმის.

„აქ სუფრაზე თეთრი ნისლი
თამადობს,
ჯიხვის ხინკალს ქვაბში
ურიდა ბებია,
. . .
თუ ქალაქში უველაფერი ზანზარებს,
ესე იგი ხევსურები ღრეობენ!"

კონცერტი გახსნა ახალგაზრდა, ახლადამობრწყინებულმა ვარსკვლავმა მარიამ ელიეშვილმა და თავისი განუმეორებელი ტკბილი ხმით პირველსავე ჰანგზე დაიპყრო მსმენელი და ოვაცია და აპლოდისმენტები დაიმსახურა. მარიამი ჯერ მხოლოდ X კლასის მოსწავლეა. იგი თბილისის 29-ე სკოლაში სწავლობს და სიმღერა სულაც არ უშლის ხელს, იყოს წარმატებული მოსწავლე. იგი ოქროს მედლის კანდიდატია, გასულ წელს კი პრეზიდენტის საჩუქარი „ლეპტოპი" დაიმსახურა. ჰყავს მშობლები და ერთი ძმა, რომელიც ასევე მღერის.

– პირველ რიგში მადლობელი ვარ უფლის, რომელმაც სიმღერის სიყვარული და ნიჭი დამანათლა, რაც მაძლევს საშუალებას არა მარტო სიამოვნება მივანიჭო ადამიანებს, არამედ კეთილ საქმეშიც დავეხმარო. ჟუკვე რამდენიმეჯერ მივიღე მონაწილეობა საქველმოქმედო კონცერტებში უპატრონო და სოციალურად დაუცველი ბავშვების დასახმარებლად, ეკლესიების შესაწირისათვის. ეს მე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. დედოფლისწყაროში პირველად ვარ, თან დედა მახლავს, თუმცა, თბილისში მყავს აქაური ნაცნობები. მაგალითად, მსახიობი ლევან ჯიბღაშვილი და სხვები. მომეწონა თქვენი აუდიტორია, მსმენელის ოვაციამ გამახარა–გვითხრა მარიამმა, რომელიც, ჩვენდა გასაოცრად, არა ბავშვურად, არამედ დიდი, ბრძენი ადამიანივით მსჯელობს.

ჩამოსულ სტუმრებს ტოლი არ დაუდეს ჩვენმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა" (ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილი) და „შირაქმა" (ხელმძღვანელი ალექსანდრე გაბრიელაშვილი) და მაყურებლებს მაღალტექნიკურად შესრულებული ცეკვებით სიამოვნება მიანიჭეს. ლექსებით დაატკბეს მსმენელი ზემოქედელმა მამაშვილმა გელა და ლაშა ბექაურებმა, რომლებიც არა მარტო პოეზიაში, არამედ სპორტშიც წარმატებულები არიან.

დედოფლისწყაროს ცენტრ „სპექტრის" მონაწილეებმა 200 ლარი შესწირეს ეკლესიის მშენებლობას. მათ, რა ხანია, აქვთ აქცია „ენის სიწმინდისათვის". ისინი მეტყველებისას დაშვებულ ყოველ შეცდომაზე ყულაბაში „საჯარიმო" თანხას იხდიდნენ და აი, ასე მოგროვილი ფული მათ საქველმოქმედოდ გამოიყენეს. ასევე, თითოეულმა მათგანმა შეიძინა ბილეთი, რომელიც 5 ლარი ღირს და დაესწრო კონცერტს. მათი საქციელი ნამდვილად სამაგალითოა სხვა სკოლებისათვის.

ამ საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი კი გამგებლის რწმუნებული გახლდათ სოფელ გამარჯვებაში. სწორედ გიორგი ჭინჭარაულს გავესაუბრეთ ჩვენც:

- რა ნიშნით შეარჩიეთ კონცერტში მონაწილენი?

- მათთან ნაცნობობა და ახლობლობა მაკავშირებს. მაშინ, როცა სხვა ანსამბლებმა ათასობით ლარი მოითხოვეს მონაწილეობისათვის, ეს ხალხი ენთუზიაზმზე წამოვიდა, მხოლოდ მადლისათვის. არავითარი შემოქმედებითი ანაზღაურება არ მიუღიათ. ვფიქრობ, ხალხმა ისიამოვნა. ჟუზომოდ მადლიერი ვარ მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის (რა მადლიანი გვარ-სახელი აქვს ამ ახალგაზრდა კაცს) რომელმაც თათბირზე გამოაცხადა კონცერტის შესახებ და ასეთ კეთილ და საშვილიშვილო საქმეში ურთიერთანადგომისაკენ მოუწოდა ყველას. მან თავად შეიძინა 10 ბილეთი და ამით მაგალითი აჩვენა თანამშრომლებს. მადლობა კულტურისა და სპორტის სამსახურის თანამშრომლებს და პირადად ქალბატონ ნინო ბახუტაშვილს, რომელთაც თავი არ დაზოგეს არაფერში და სტუმარ-მასპინძლობის მაგალითი აჩვენეს სტუმრებს.

- ფინანსური მხარდაჭერის რა იმედი გაქვთ?

- იმედია, პირველ რიგში სოფელი ხელს გამოიღებს და თავის სიტყვას იტყვის მათთვის საშვილიშვილო საქმეში, ასევე მრავლად არიან დედაქალაქში მოღვაწე ადამიანებიც, რომლებსაც გარკვეული წარმატებები აქვთ ბიზნესში. ისინიც გვპირდებიან. ბევრმა მათგანმა სამლოცველო სახლის მოწყობაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო. ახლაც

არ დაიხევენ უკან. მაგალითად, ლევან გიგაურს სურს, უშუალოდ მისი თანხებით მოხდეს საძირკველის ჩაყრა. ეს ხომ დიდი მადლია. ამ საქველმოქმედო კონცერტიდან 4000 ლარამდე შემოვიდა. ეს შეიძლება მშენებლობისათვის დიდი თანხა არ იყოს, მაგრამ თანადგომა გვამხნევებს და ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინების იმედს გვმატებს.

იმედი ნუ მოგიშალოთ, გამარჯვებელებო. მე კი, როგორც ამ სოფელში გაზრდილ-დაბადებული, ჩემთავად, ყველა გამარჯვებელს, ვინც რაიონში ცხოვრობს, ან სხვა სოფელში, მოვუწოდებ, შეეწიოს ტაძრის მშენებლობას. სხვა კეთილი ადამიანებიც გამოჩნდებიან. ჴყველაფრის მიუხედავად, ქართველებმა კარგი საქმის ირგვლივ გაერთიანებაც ხომ ვიცით! ნებისმიერი თანხა შეგიძლიათ ლარში, დოლარში ან ევროში გადარიცხოთ: სს ბანკი კონსტანტა, სოფელ გამარჯვების ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარი, ანგარიშის ნომერი: GE03 CN0000036801346467.

ნაირა გორაშვილი

კონკურსი ინგლისურად

რამდენიმე დღის წინ მეორე საჯარო სკოლამ ორიგინალურ ღონისძიებას უმასპინძლა. „კონკურსი ინგლისურ ენაზე“ -ასეთი გახლდათ ზოგადად ის პრინციპი, რაც სკოლის მოსწავლეების ინგლისური ენის ცოდნის საჯაროდ გამოვლენას და ამ ენის ცოდნის გაღრმავებას ემსახურებოდა. დიახ, ინგლისური ენის პედაგოგმა რუსუდან (გრეტა) ქადაგიშვილმა გადაწყვიტა, მეშვიდე-მერვე კლასებში ჩაეტარებინა ღონისძიება, რომელსაც კონკურსის სახე ექნებოდა. შეჯიბრი გაიმართა სხვადასხვა ნომინაციაში. ბავშვებმა

ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს მთელი ღონისძიება. ღონისძიება მიჰყავდათ მერვე კლასის მოსწავლეს თორღვა ნაროზაულს და მეშვიდე კლასის მოსწავლეს თათია ცისკარაულს. ღონისძიებას აფასებდა ჟიური, რომლის წევრებიც გახლდნენ ინგლისური ენის პედაგოგი მარინა შანშიაშვილი, გიული გონაშვილი და ანი ყოჩიაშვილი. ღონისძიებაზე საპატიო სტუმრებად იყვნენ მოწვეულები პირველი სკოლის ინგლისური ენის პედაგოგები: ნაირა უთრუთაშვილი და ამერიკელი პედაგოგი ჯეკი ბრენდსი, ღონისძიებას ასევე ესწრებოდა რესურსცენტრის იურისტი თეონა ზედელაშვილი.

ორივე საკონკურსო გუნდს ჰყავდა კაპიტანი. მეშვიდე კლასის გუნდის კაპიტანი გახლდათ სოსო გონაშვილი, ხოლო მერვე კლასის გუნდის-გიორგი პოპიაშვილი. კონკურსანტმა გუნდებმა ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს ლექსები და სიმღერები. შეჯიბრი გაიმართა ტექსტის საუკეთესო კითხვაში, აგრეთვე დაფაზე გამოტოვებული სიტყვების შევსებაში. ასევე ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს პატარა სკეტჩები, ხოლო გუნდის კაპიტნებმა მოაგროვეს საგნები, რომელთა ინგლისური შესატყვისებიც უნდა დაესახელებინათ. საინტერესო ღონისძიება იყო, რაშიც დარბაზში მჯდომი მაყურებელიც აქტიურად ჩაერთო. მოსწავლეები თავს ვერ იკავებდნენ საგულშემატკივრო გუნდის მიმართ შეძახილებით. დასასრულს ორივე გუნდმა წარმოადგინა კომედიური ჟანრის დიაფილმი, რამაც კონკურსანტები ძალიან გაამხიარულა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს ამავე სკოლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა რუსუდან ჯორკოშვილმა, დებმა ლოლაშვილებმა და პირველი სკოლის მოსწავლემ მარიამ წიკლაურმა. მათ შეასრულეს დღეს უკვე მსოფლიო ჰიტებად აღიარებული სიმღერები. ღონისძიება საპატიო სტუმრების ალაფურშეტზე მიწვევით დასრულდა.

და ბოლოს, ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ წელს დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლა გამოირჩევა როგორც განათლების მაღალი დონით,ასევე ღონისძიებების აქტიურად ჩატარებით, რაც სკოლის ბავშვების გამოცოცხლებას და საზოგადოებაში ადაპტირებას უწყობს ხელს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ წელს გაზეთმა „შირაქმა“ ძალიან ბევრი მოწვევა მიიღო ამ სკოლიდან და არაერთი საინტერესო ღონისძიების მოწმე გავხდით. ამაში კი უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ამ სკოლის დირექტორს ქალბატონ ია ბოსტაშვილს, რომელსაც არ გამოუტოვებია სკოლის არცერთი ღონისძიება, რომელიც არათუ მხოლოდ დასწრებია, ბავშვების გულმხურვალე გულშემატკივარიც ყოფილა. აშკარად ვხედავ, რომ დირექციას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ძალიან ჰარმონიული, თბილი და უშუალო დამოკიდებულებაა, რაც ხელს უწყობს სკოლას, კარგი იმიჯი დაიმკვიდროს, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.

ლალი მეხრიშვილი

„რა? სად? როდის?“ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში

4 აპრილს დედოფლისწყაროს მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლში ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“გაიმართა. ღონისძიების მასპინძლები იყვნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი ირმა ბენაშვილი და მასწავლებლები. კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ სოფელ სამრეკლოს, დედოფლისწყაროს პირველი , მეორე და ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები. თითოეულ გუნდს ჰქონდა თავისი სახელწოდება, სოფელ სამრეკლოს გუნდი „სამრეკლოს“ სახელწოდებით წარსდგა მაყურებლის წინაშე,დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა „პოსტსკრიპტუმის“ სახელით, მეორე საჯარო სკოლა „ბერმუდის სამკუთხედის“, რომელსაც სხვებისგან განსხვავებით დევიზიც გააჩნდათ- „ყველა ადამიანში არის მზე, ოღონდ უნდა ანათებდეს!“ კონკურსის წამყვანი გახლდათ მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის პედაგოგი თამარ ლაპიაშვილი, ხოლო ჟიურის წევრები გახლდნენ თავად ამ ორგანიზაციის დირექტორი ირმა ბენაშვილი,დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი ნინო პოპიაშვილი, საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეული სოფელ გამარჯვების მკვიდრი ნინო ფიროსმანაშვილი, რომელიც თვით „რა? სად? როდის“ კლუბის წევრია და ამ თამაშების აქტიური წევრიც გახლავთ. იგი ჭკვიანთა და საზრიანთა კლუბის წევრებს დედოფლისწყაროდან ხშირად უსვამს კითხვებს.

კონკურსში „რა? სად? როდის?“ გაიჟღერა შემდეგმა კითხვებმა,-- „გალაქტიონის ლექსში „მზეო თიბათვისა“, ვკითხულობთ, -

„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,
იგი, ვინც, მიუვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე ამას გევედრები!“

კითხვა ასე ისმის, -„რა არის გრაალი?“ -კითხვის პასუხი გახლდათ,-„თასი, რომელშიც მაცხოვრის სისხლი მოაგროვეს“. შემდეგი კითხვა გახლდათ ასეთი,- „ერგატივი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მოქმედ პირს, რომელი ბრუნვა შეესაბამება მას ქართულში?“-სწორი პასუხია-მოთხრობითი. გახლდათ კითხვაც, რომელიც ჩვენს რაიონს უკავშირდება,- „გმირთა ვარამში ჭოეთად წოდებული ციხექალაქი ისტორიულად კიდევ რა სახელით არის ცნობილი?“ სწორი პასუხია-„ხორნაბუჯი.“ საინტერესო და საკმაოდ ამოუცნობი თემა გამოდგა შემდეგი კითხვა,-„იგი მთაწმინდაზე დაკრძალეს. ილიას, დიმიტრი ყიფიანის და სხვა დიდი მამულიშვილების გვერდით. დაკრძალვაზე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვეს.—„ეს ის ადამიანები არიან, ვინც სიკვდილის შემდეგაც გვასწავლიან საქართველოს სიყვარულსო“, აკაკი ბაქრაძემ კი მას „შიშველი სატევარი“ უწოდა, ვისზეა საუბარი?!-სწორი პასუხია „მერაბ კოსტავა“.

მოვიხიბლე ჟიურის წევრის, ნინო ფიროსმანაშვილის მიერ დასმული ხუთქულიანი კითხვით, რომლის პასუხიც სწორი ვერსიით მხოლოდ ხორნაბუჯის სკოლამ წარმოადგინა.

კითხვა გახლდათ ასეთი -„კახეთის მეფემ ლავანმა, რომელიც მეფობდა 16 საუკუნეში, მტრის შემოსევებში თუშ მეომრებს იხმარიებდა საშველად,(აქვე მოშველიებული გახლდათ თეიმურაზ მეფის ნაწერები, სადაც ეს ამბავიცაა ნახსენები) თუში მეომრები ლევან მეფის მიერ მიცემული აღქმით ყოველთვის მოვალენი იყვნენ დახმარებოდნენ კახელებს ბრძოლებში.“-კითხვა ასე ჟღერდა რა აღქმა მისსცა ლევან მეფემ თუშებს, რომლის საფუძველზეც თუშები მუდამ კახელებს ეხმარებოდნენ ბრძოლებში?- სწორი პასუხი გახლდათ, „შირაქის მიწებზე თუშების ცხვრების გამოკვება!”

კონკურსში თავიდანვე დიდი უპირატესობით ლიდერობდა გუნდი „ბერმუდის სამკუთხედი“, შემდეგ მოჰყვებოდა „პოსტსკრიპტუმი“, ხოლო შემდეგ „სამრეკლო“, ბოლო ადგილს იკავებდა გუნდი „ხორნაბუჯი“.ეს მონაცემები კონკურსის ბოლოსაც არ შეცვლილა, პირველ ადგილზე (24 ქულით) გავიდა მეორე საჯარო სკოლის „ბერმუდის სამკუთხედი“, მეორე ადგილი დაიკავა პირველი საჯარო სკოლის „პოსკრიპტუმმა“(21 ქულით), ხოლო მესამე ადგილს დასჯერდა „სამრეკლოს საჯარო სკოლის გუნდი „სამრეკლო“(19ქულა).

ღონისძიების შუალედში მაყურებელის ყურადღება მიიქციეს პატარა გოგონებმა, რომლებმაც მაყურებელს სესთავაზეს გამოცანები. დებმა ლოლაშვილებმა თავიანთი ზარივით წკრიალა ხმით შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერების პოპური, რომლითაც ძალიან მოხიბლული დარჩა იქ მყოფი საზოგადოება.

ლალი მეხრიშვილი

ცოფი – დედოფლისწყაროს პრობლემა

„მაწანწალა ძაღლების პრობლემა თუ მოგვარდა, ცოფის საფრთხე იკლებს“

საკარანტინო მდგომარეობის მიუხედავად, დედოფლისწყაროში, ცოფის კერაში მცხოვრები დაავადებულ ცხოველთან კონტაქტირებული მოსახლეობა ცოფის საწინააღმდეგო აცრების ჩატარებაზე მასობრივად უარს აცხადებს – ამის შესახებ გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა მარიეტა გონაშვილმა განუცხადა. ჩვენ დავინტერესდით, რა საფრთხეს ქმნის დაავადება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანში და რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს აცრებზე უარის თქმამ.

უკვე ვიუწყებოდით, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანში მურთაზ ხუცურაულის ფერმაში ცოფის გამოვლენის გამო მიმდინარე წლის 7 მარტიდან საკარანტინო მდგომარეობა დაწესდა. შეზღუდვები მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი შიოლაშვილის ბრძანების საფუძველზე ცოფის კერასა და მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებს. სოფელ ფიროსმანში აგილ ჯაფაროვის ძაღლს ცოფი ლაბორატორიულად დაუდასტურდა. ძაღლმა მსხვილფეხა პირუტყვი დაკბინა. „შირაქის“ ინფორმაციით, წელიწადზე მეტია, ამ ზონაში საკარანტინო მდგომარეობა თითქმის ყოველთვიურად ცხადდება. ფიროსმანსა და მის მეზობელ სოფლებში ხან ცოფის, ხანაც ჯილეხის კერები ინტენსიურად იჩენს თავს. ხშირია ჯილეხის ადამიანზე გავრცელების შემთხვევებიც.

სოფელი ფიროსმანი აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს და ძირითადად აჭარიდან ჩასახლებული ეკომიგრანტებით და ინგილოებით არის დასახლებული. ცოფის მხრივ არაკეთილსაიმედო ზონაში აიკრძალა ცხოველების გაყვანა, ან სარეალიზაციოდ გადაყვანა, სურსათის სააგენტო კი ცოფიან ცხოველებთან კონტაქტირებული ცხოველების ლიკვიდაციას უზრუნველყოფს.

„შირაქის“ ინფორმაციით, უკვე შეიქმნა სპეციალური შვიდკაციანი კომისია, რომელსაც გამგებლის მოადგილე, აკაკი ნატროშვილი ხელმძღვანელობს. კომისია ზედამხედველობის განხორციელების კოორდინაციას მოახდენს. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს კი დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტირებული მოსახლეობის აღრიცხვა და ანტირაბიული აცრების ჩატარება დაევალა.

შეგახსენებთ, გასულ წელს საკარანტინო მდგომარეობა დედოფლისწყაროში თითქმის ყოველთვიურად ცხადდებოდა. მოსახლეობა პროფილაქტიკური სამუშაოების არაეფექტურობაზე და სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ფილიალის უმოქმედობაზე საუბრობს.

ამ ფონზე დედოფლისწყაროში არსებულ ვითარებას საგანგაშოს უწოდებს დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსი მარიეტა გონაშვილი. ის გამგეობის სხდომაზე მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარების აუცილებლობაზე საუბრობს. რამდენიმე დღის წინ სოფელში საკარანტინო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს დაავადებულ ცხოველებთან კონტაქტირებული მოსახლეობის აღრიცხვა და ანტირაბიული აცრების ჩატარება დაევალა, თუმცა, მედიკოსები აცრების ჩატარებას მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებენ.

მარიეტა გონაშვილი (საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი): „ცოფის კერაში მოსახლეობას აცრები არ უტარდება, იმიტომ რომ თვითონ თქვეს უარი. მათ განაცხადეს, დაავადებულ ცხოველთან შეხებაში არ ვყოფილვართ და აცრა არ გვინდაო. დეტალურად განვუმარტეთ, თუ რა საფრთხეს შეიცავს და რა შეიძლება გამოიწვიოს აუცრელობამ, თუმცა, მაინც არ ისურვეს აცრის ჩატარება. ამის შემდეგ, სხვა გზა რომ არ იყო, ხელწერილი დაგვიწერეს. არადა ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილი საქონელი დაიკლა... იცით, რომ ამ ზონაში შეზღუდვები ჯერ კიდევ მოქმედებს. ჯანდაცვის ცენტრში ცოფის ვაქცინა და იმუნოგლობულინი საკმარისად გვაქვს. პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი აიცრას, ვინც დაავადებულ ცხოველთან შეხებაშია. გეთანხმებით, რომ დედოფლისწყაროში ყოველთვიურად მოქმედებს კარანტინი. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ძირითადად მაწანწალა ძაღლების მიერ ხდება ცოფის გავრცელება.

აქამდე წელიწადში ერთხელ ძაღლების საყოველთაო აცრები უფასოდ ტარდებოდა, ბოლო 4 წელია, აცრები აღარ მიმდინარეობს, რადგან ვეტსამსახურს ძალიან ძვირი უჯდებოდა. ფაქტია, რომ ხშირად ფიქსირდება ცოფი და შესაბამისად, ხშირად ცხადდება კარანტინი. უნდა ითქვას, რომ სხვა რაიონებთან შედარებით, დედოფლისწყაროში ცოფი პირველ ადგილზეა. თვეში ერთხელ ყველა რაიონის წარმომადგენელი ვიკრიბებით და თათბირებს ვესწრებით. შემიძლია ვთქვა, რომ სხვებთან შედარებით დედოფლისწყაროში ცოფის გამოვლენის შემთხვევები უფრო ხშირია. ძირითადად ცხოველებზე ვლინდება. აქ პრობლემის გადასაჭრელად უნდა გვქონდეს კომპლექსური მიდგომა. აუცილებლად უნდა გადაიჭრასქუჩაში მაწანწალა ძაღლების პრობლემა, რომელიც დედოფლისწყაროში ასე მომრავლებულია. უნდა აღდგეს საყოველთაო აცრებიც. ინდივიდუალურად ცრიან, მაგრამ ძვირია და ამას



„სხვა რაიონებთან შედარებით დედოფლისწყაროში ცოფი საკმაოდ ხშირად ფიქსირდება, თითქმის ყოველთვიურად მოქმედებს კარანტინი“

შესაბამისი შედეგი არ მოაქვს. თუ მაწანწალა ძაღლების პრობლემა მოგვარდება და სახლებში ყველა თავის ძაღლს აცრის, ვითარება ნამდვილად გამოსწორდება.

რამდენიმე თვის წინ ცოფი დაუდგინდა სოფელ ზემო მაჩხაანში იოსებ ჭიღიტაშვილის კუთვნილ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, სოფელ საბათლოში არმენ ნალტაკიანის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, სოფელ არბოშიკში ერთ-ერთი მაცხოვრებლის ძაღლს. ეს სია საკმაოდ ვრცელია და ყველა ამ შემთხვევის დროს დედოფლისწყაროში მუდმივად ორთვიანი კარანტინი ცხადდებოდა.

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა მარიეტა გონაშვილმა მაწანწალა ძაღლების კატასტროფულად მომრავლების საკითხი დედოფლისწყაროს გამგეობის თათბირზეც დააყენა და აღნიშნა, რომ ვითარება სერიოზულია. გონაშვილმა ქუჩის ძაღლების დროულად გაყვანაზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შიოლაშვილი განმარტავს, პრობლემა მართლაც სერიოზულად დგას, თუმცა, მისივე თქმით, ძაღლების ლიკვიდაცია დაუშვებელია და პრობლემის მოსაგვარებლად გაცილებით ჰუმანური გზები უნდა გამოინახოს.

ირაკლი შიოლაშვილის განცხადებით, უახლოეს ხანში კახეთის რეგიონში მაწანწალა ძაღლებისთვის ერთი თავშესაფარი აშენდება, სადაც რეგიონის მასშტაბით ცალკეულ მუნიციპალიტეტებში დაჭერილ მაწანწალა ძაღლებს მოათავსებენ.

რეგიონში ძაღლების თავშესაფრის გახსნის იდეა მოსწონს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელსაც. მარიეტა გონაშვილი ფიქრობს, რომ მაწანწალა ძაღლების რაიონიდან გაყვანითა და ამასთან ერთად ოჯახის ძაღლების მასობრივად აცრის შემთხვევაში დედოფლისწყარო ცოფის გავრცელების პრობლემას დაამარცხებს და წამდაუწუმ საკარანტინო მდგომარეობის დაწესების აუცილებლობაც აღარ იქნება.

საკითხავი მხოლოდ ერთია: როდის აშენდება ასეთი ცენტრი?

ილია მარტყოფლიშვილი

35 წელი ელექტროენერგიის გარეშე...

დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტში მდებარე, ე.წ. შირაქის დასახლება, რომელიც რაიონულ ცენტრს ძალზე მოწყვეტილია, კვლავაც ინფორმაციის და „ილიჩის ნათურის“ გარეშე უკვე 35 წელია, ცხოვრობს. ცივილიზაციის გარეშე დარჩენილი ადამიანების ისტორიითა და სამომავლო გეგმებით გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა.

ოჯახები ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკისა და საკვებწარმოების ტერიტორიაზე არიან ჩასახლებულნი და ათეულობით წელია, ელექტროენერგიის გარეშე ცხოვრობენ. როგორც დედოფლისწყაროს გამგეობაში განმარტავენ, მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გზებზე მუშაობენ. შესაძლოა, დასახლებაში მზის ენერგიის ბატარიები დამონტაჟდეს. პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ გზად სწორედ მზის ენერგიის სისტემა განიხილება.

ჯერ კიდევ 3 წლის წინ აქ 20-მდე ოჯახი ცხოვრობდა, ახლა კი დასახლებაში მხოლოდ 9 ოჯახი შემორჩა. ელექტროენერგიის პრობლემის გარდა, ადგილობრივებს წყალიც სანატრელი აქვთ. მათი მტკიცებით, სასმელი წყლის გარეშე ცხოვრობენ. მოსახლეობა ნავთობის საძიებლად გაბურღული ღრმულებიდან იღებს წყალს და სასმელად იყენებს. ამბობენ, რომ სხვა გზა არ არის.

შენობები, რომელთაც მოსახლეობა თავს აფარებს, განსაკუთრებით ავარიულია. შირაქის დასახლებაში გამორჩეულად რთულ საყოფაცხოვრებო პირობებში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოქალაქეების - ციალა ქავთარაძისა და მზექალა არაბულის ოჯახებია. მზექალა არაბული ამბობს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ 30 ლარიანი საარსებო შემწეობა იმ მიზეზით შეუწყვიტა, რომ 2 ქათამი ჰყავდა და კვირაში 3-4 კვერცხს იღებდა.

„ჯუნგლებივით ვცხოვრობთ, პირველყოფილი ხანაა... როგორც გარეთ წვიმს, ისე შიგნით. ძველი სახლებია და სახიფათოა აქ ცხოვრება. 35 წელი იქნება, რაც დენი არ გვაქვს. ავადმყოფები ვართ, ბევრი დაავადება გვაწუხებს. შორს ვცხოვრობთ, არც ექიმი გვყავს და არავინ. ძნელია, ამდენი წელი ასე ცხოვრება გაუსაძლისია. არც ტელევიზორი გვაქვს, არც ინფორმაცია. ჩვენი პატრონი ამ დრომდე არავინ ყოფილა. იშვიათად, თუ რაიონში ამოვედით და მაღაზიაში ელემენტები შევიძინეთ, რადიოს ჩავრთავთ ხოლმე და ჩვენთვის ესეც დიდი სიხარულია. პატარა ხელის რადიო გვაქვს, ბევრ არხს არ იჭერს, მაგრამ პირველი არხის გადაცემებს ასე ვუსმენთ ხოლმე. ამით ვიგებთ, რა ხდება ქვეყანაში. სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი თანამედროვე ნივთი, ჩვენი ძველი ტელეფონებია. სამ დღეში ერთხელ დედოფლისწყაროში ამოვდივართ, რომ ტელეფონები დავტვირთოთ. მაღაზიებში ვთხოვთ-ხოლმე და ტელეფონის ბატარეას ხან სად ვტენით, ხანაც სად,“ - აცხადებს კვლავაც დახმარების მოლოდინში მყოფი მოსახლეობა.

წინასაარჩევნო პერიოდში პარლამენტის წევრი ალექსანდრე თამაზაშვილი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და პრობლემების მოგვარებას დაპირდა. მოსახლეობას დეპუტატ თამაზაშვილის დახმარების იმედი აქვს და რეაგირებას ელის.

ილია მარტყოფლიშვილი

მეცხოველეობა-მეფრინველეობის აქტუალური საკითხები გაზაფხულზე

გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ფერმერები გეგმიური ვეტერინარულ-სანიტარული და ზოოჰიგიენური ღონისძიებებისთვის ემზადებიან. მეცხოველეობის მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების გაზრდისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობად ითვლება პროფილაქტიკური სრულყოფილი ვეტერინარული ღონისძიებების გატარება და შინაგანი არაგადამდები დაავადებების ლიკვიდაცია. შიდა და გარე ბაზარზე დამკვიდრებისათვის გამოშვებული პროდუქტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო ხარისხის სტანდარტებს.

დაავადებისაგან ცხოველისა და ფრინველის დაცვის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კეთილსაიმედო მეურნეობის დაცვას და ორგანიზმის ბუნებრივი რეზიდენტობის გამძლეობას. საძოვრებზე, ფერმის ტერიოტორიაზე და საკვების სანყობებში უნდა მოისპოს მღრნელები.

თუ მეურნეობაში (ფერმაში) ზამთარში დაფიქსირდა დაავადება, საჭიროა ამ ფერმის არსებული სადგომების დეზინფექცია. ჯანმრთელი ცხოველების გამოყოფა და მათი ჰელმინთებზე დამუშავება, შემდგომ კი ვაქცინაცია. ხოლო იმის მიხედვით თუ რომელი დაავადება გადაიტანა საქონელმა, ხდება გადაწყვეტილებების მიღება საქონლის სახორცედ ჩაბარების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით დღეს აქტუალური საკითხებია:

მესაქონლეობაში (მრპ):

1. ანტიჰელმინთური დამუშავება (შიდა და გარე პარაზიტები)
2. ვიტამინურ მინერალური კომპლექსების საკვებში დამატება, მინიმუმ 10-15 დღე.
3. ვაქცინაცია: პასტერელიოზი, ემკარი (ემფიზემური კარბუნკული), თურქული, ციმბირული წყლული (არაკეთილსაიმედო ადგილებში).
4. არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონოსძიებების ჩატარება (ატონიები და ზოგადად საკვების ხარისთან დაკავშირებული დაავადებები).
5. გარეგანი ანტიპარაზიტული (ინსექტო-აკარიციდული) დამუშავება.

მეცხვარეობა:

1. ვაქცინაცია: ბრადზოტა, ენტეროტოქსემია, თურქული. თუ მოსაზღვრე ქვეყნებში დაფიქსირდა ყვავილი, უნდა დამუშავდეს ამ დაავადებაზეც.
2. მონეზიოზზე ანტიჰელმინთური დამუშავება საძოვარზე გაყვანიდან 20-25 დღეში.
3. დედა ცხვირის დამუშავება დიქტიოკაულიოზზე (ფილტვის ჭია) და ზოგადად იმ ჰელმინთზე, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ადგილისათვის.
4. ადგილობრივი ლოკალიზაციის დროს ყუთურის დაფიქსირების შემთხვევაში, ამ დაავადებაზე დამუშავება

მეფრინველეობა

საქართველოში მცირე ფერმერებს წინწილა გამოჰყავს ადგილობრივი ინკუბატორებიდან. შასურველია ინკუბატორშივე ჩაუტარდეს ფრინველს ვაქცინაცია მარეკის დაავადებაზე, რადგან შემდეგ ამ დაავადებაში ვაქცინაცია არ ტარდება, დაავადება კი გავრცელებულია და იწვევს ფრინველის დაცემას. მე-9, მე-15 დღეს ფრინველს უტარდება ვაქცინაცია გამბოროს და ნიუკასლის დაავადებებზე.

ფრინველის ქვესაფენზე გამოზრდის შემთხვევაში საჭიროა კოკციდიოზზე დამუშავება.

მეგოცვრეობა

აუცილებელია ყველა მოზარდის და აუცრელი ბოცვრის დამუშავება ჰელმინთებზე, კოკციდიოზზე, შემდეგ კი ვაქცინაცია, მიქსომატოზზე და ვირუსულ ჰემორაგიაზე

ეს ყველაფერი არის გაზაფხულის პირველ 2 თვეში (მარტი, აპრილი) ჩასატარებელი სამუშაოები.

მონეზიოზი

მონეზიოზი წვრილფეხა და მ.რ. პირუტყვის ჰელმინთოზური დაავადებაა.

ცესტოდების ეს სახეობა პარაზიტობს მცოხნავი ცხოველების ორგანიზმში.

მონიეზიოზი — ძირითადად გავრცელებულია Moniezia Expansa (აღწევს 6-8 მ-მდე) და Moniezia Beneberi (აღწევს 2-4 მ-მდე).

Moniezia Expansa - გვხვდება გაზაფხულზე. M. Beneberi - შემოდგომაზე.

ცხოველები ავადდებიან საძოვარზე (შეიძლება თივიდანაც).

გაზაფხულის მონიეზიოზით ძირითადად ავადდება ბატკნები.

შემოდგომის მონიეზოიზით მოზარდი — 7-8 თვის.

ცესტოდების სიცოცხლის ხანგრძლივობა ცხვრის ნაწლავში შეადგენს 2,5 -3 თვეს, იშვიათად 7-თვეს.

დაინვაზირებიდან 28-40 დღის ასაკში ბატკნები სუსტდებიან და იღუპებიან.

საქართველოში მონიეზიოზის მიმართ განსაკუთრებით არაკეთილსაიმედოა დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, გარდაბნის, სიღნაღის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, მარნეულის რაიონები.

მონიეზიოზით ბატკნების პირველი დაინვაზირება ხდება მარტის ბოლოს, აპრილის ბოლოს დაინვაზირებულია მათი სულადობის ნახევარი, ხოლო ივნის-ივლისში თითქმის მთელი სულადობა. შემოდგომაზე დაინვაზირების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მცირდება. 1-2 წლის მოზარდეულში ინვაზია მაქსიმუმს აღწევს მაისში და მოიცავს სულადობის დაახლოებით მესამედს.

ბატკნის მონიეზიოზი შეიძლება გართულდეს პასტერელოზით, ბრადზოტით, ენტეროტოქსემიით, ისინი ითვისებენ მასპინძლის ორგანიზმისათვის განკუთვნილ საკვებ ნივთიერებებს, ასევე ცვლიან თიმუსის შემადგენლობას ამიტომ ბატკანი მალე სუსტდება.

აუცილებელია ბატკნის დროული დამუშავება 160ც - 270ც-ის ტემპერატურის დროს საძოვარზე ამ დროს მონიეზიების ცისტიცერკოიდების განვითარება 55-90 დღეში მთავრდება.



მონეზიოზის დეჰელმინთიზაციისათვის საშუალებები:

1. ფისტოკლოზანიდი (375, 500, 750, 1500)
2. ფენბექსი (250, 500)
3. ალბექსი (250, 400, 600, 3000)
4. ალბენდაზოლი (თხევადი) 10%

ფისტოკლოზანიდი (375, 500, 750, 1500) ითვლება უნივერსალურ პრეპარატად მონიეზიოზების (და სხვა ჰელმინთური დაავადებების) სამკურნალოდ, ის არის ნაკლებად ტოქსიკური, იძლევა საჭმლის გადამუშავების სისტემის სრულ დეჰელმინთიზაციას, გარდა ამისა მონიეზიოზზე დიაგნოსტიკის კარგი საშუალებაა.

დიაგნოსტიკისათვის: ფარიდან აიყვანენ 20-25 ბატკანს (ცხვარს) და აძლევენ მათ პრეპარატს, ამის შემდეგ მათ გადაიყვანენ ცალკე შენობაში და 12-24 საათის განმავლობაში პერიოდულად აკვირდებიან ცხოველის ექსკრემენტს.

ფენბექსი (250, 500) უნიკალური ანტიჰელმინთური პრეპარატია, როგორც ფისტოკლოზანიდი, ფენბექსი ნაკლებ ტოქსიკურია, დოზის გადაჭარბება არ იწვევს გვერდით მოვლენებს. ფენბექსი (250,500) -ით დამუშავება შესაძლებელია მაკეობის დროს, ასევე ის არის ერთადერთი საშუალება ცერებრალური ცენუროზის („რეტი“) სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის, რომელიც გავრცელებულია ცხვარში (ძირითადად ორ წლამდე), ფენბექსი (250, 500) —ით ბატკნისა და ცხვრის დამუშავება წელიწადში 1-ჯერ ან 2-ჯერ მონიეზიოზზე იძლევა სხვა, ჰელმინთებიდან — ჭიებიდან გამოწვეული დაავადების პროფილაქტიკასა და დიდ ეკონომიურ მოგებას.

ალბექსი (250, 400, 600, 3000) — და ამ ჯგუფის სხვა პრეპარატებით დამუშავდება ბატკანი, ცხვარი მონიეზიოზზე, როგორც პროფილაქტიკისთვის, ასევე სამკურნალოდ, როდესაც არ არის გამოხატული დაინვაზირების მძიმე შემთხვევები.

გვახსოვდეს:

მონიეზიოზის დროს ბატკნები წონაში ჩამორჩებიან 2-3კგ-მდე, მატყლის და ხორცის ხარისხი დაბალია, თანხებში შემოსავალი მცირდება 25%-ით.

ცხვრების სიკვდილიანობა, დეჰელმინთიზაციის გარეშე წლის ნებისმიერ სეზონზეა შესაძლებელი!

ბატკნის სიკვდილიანობამ შეიძლება მიაღწიოს 80%-მდე.

„ასოციაცია მომავლის ფერმერი“

სასუქები, გვარჯილა, ჰერბიციდები, პესტიციდები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, მოტორიანი ხერხები, ცელები, შესასხურებლები, ვეტერინარული პრეპარატები და სხვა

შეიძინეთ

„აგროქიზიყი“-ს მაღაზიაში, რუსთაველის ქ. 24, (საკოლმეურნეო ბაზართან), ფერმერთა მომსახურების ცენტრში

შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში

6 თვიანი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადობის მოწმობით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

აგრო გვერდს წარმოგიდგენთ „აგროქიზიყი“ ქ. დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა №24, ტელეფონები: 0356-22-31-00; 599-56-71-31 www.farmers.ge

ტიტეგის რექვიემი

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ტიტეგი აღარ მიყვარს- დაკრეფილი ტიტეგი, რადგან ისინი ჩემთვის სისხლთან და „სიკვდილის მოედანთან“ ასოცირდება. მაშინ მე იმ მოსწავლე გოგონეგის ხნის ვიყავი, რუსმა ჯარისკაცებმა ტრაგიკულ ღამეს ორლესული ნიჩგებით რომ აჩეხეს. მერე დიდ ტკივილთან ერთად იყო ორმოცი დღის მანძილზე სკოლაში შავი წინსაფრებით სიარული და კომუნისტური რეჟიმისგან თავის დახსნის დაუოკებელი სურვილი...

მას შემდეგ 24 წელი გავიდა. ყოველ 9 აპრილს მე იმ 16 წლის გოგონას თვალით ვუყურებ, რომლის თანატოლებიც სამშობლოს სიყვარულისთვის სიცოცხლის მოსპობით დასაჯეს. იმ დღიდან ჩემთვის აპრილი ლურჯი არაა, ის სისხლისფერია, რომელსაც მაშინ ქართველმა ერმა ტიტეგის რექვიემი მიუძღვნა...

ვერასოდეს ვერ ვკითხულობ უემოციოდ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობას “ორნი აქა იქ”,რომელიც ცხრა აპრილის სისხლიან ტრაგედიას უკავშირდება. გთავაზობთ ნაწყვეტს:

- ძალიან გეტკინა, შვილო? — იქა ჰკითხეს.

ფერები იყო უცხო, საკვირველი, დაბინდულივით, მაგრამ სუყველა შინაგანად აბჟუტებული, მსგავსი სილამაზე კი არა, რაღამეტი, რომ არნანახი სილამაზეც აღარ ეთქმოდა, სჭვიოდა იქა, და ერთადერთი სამხმოვანება გაისმოდა, მაგრამ ისეთი, მარადიულად წელადი და მომცველი ისე, ვიღას და რაღას არ ჩაიტევდა, და გოგონამაც, ვინც ვეღარ ხედავდა თავის სუსტსა და გამხდარ სხეულს, მაგრამ აშკარად გრძნობდა, რომ უფრო იყო,ოყო, თანაც, რამდენად უკეთესად და უკეთესი, ფერებს გაოცებული აღიქვამდა და სამხმოვანებით გაჟღენთილიყო, ეს რა ყოფილა ნეტარება, მაგრამ როდესაც ისევ გაუმეორეს, როგორი მაღლივის ხმით მერე, — „ძალიან გეტკინა, შვილო?“- ხმადაბლა მიუგო და უთხრა:

- მე არ მოველოდი.

უხილავ თავზე, ჭრილობასთან, წყნარად დაედო ფრთხილი, ფაქიზი, დაუჯერებლად მომფერებელი, დაკოჟრილი დიადი ხელი:

- ჩემი იქნები. აღარაფერი შეგაჭირვებს. აღარასოდეს. გიხაროდენ.

- თქვენ... მაპატიეთ, — მორიდებით უთხრა გოგონამ, ძალიან-ზე მეტად ღელავდა. - თქვენ სწორედ ის ხართ?

- მამა დამიძახე.

გოგონას ადრე, დედამიწაზე, სიხარულით არასოდეს უტირია, როგორღაც ბედი არ სწყალობდა, იმისი არ ესმოდათ, და გულდაწყვეტით ხშირად აცრემლდებოდა ხოლმე, ახლა კი უხილავ, ფერმკრთალ ღაწვებზე სიხარულის ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და ეწვეთებოდა იმ პატარა მკერდზე, რომლითაც მერე და მერე, დრო რომ დადგებოდა, აქ, ქვემოთ, ბავშვი უნდა ესაზრდოებინა, მაგრამ ის დრო ვეღარ მოვიდოდა, რადგან ერთ-ერთმა ბარიანმა სწორედ მასზე შემართა ბარიანი ხელი; სწორედ იმ ჩამქრალ სადედო მკერდზე ეწვეთებოდა სიხარულის მლაშე ცრემლები, იმან კი, თავად მამამ, თქვა:

- ჯერ მარიამთან მიიყვანეთ.

და უხილავ მხრებში მაშინვე ფაქიზად შეუდგა ორი ცისარტყელა. გოგონა რა, სხეული როცა ჰქონდა, მაშინაც კი ძალიან მჩატე იყო, ციმციმ წაიყვანეს.

აქა კი, ქვემოთ, მონადირე იმის ახლახანა საფლავთან გულგასიებული იდგა და, კიდევ კარგი, ტიროდა, რადგან ცრემლს ვაება ასე თუ ისე გამოჰქონდა. საფლავის ქვაზე ასე ეწერა: -რამდენისა

გამოდიოდა და, ცოტასი...

დიდმა მარიამმა, მზე მარიამმა, მზემ, მიიახლოვა და გულში ჩაიკრა, ჭრილობაზე აკოცა, გაათბო; ეფერა, ეფერა, როგორ მშვიდად და წყნარად, ფერხთით დაისვა მერე.

აქ, ყველაზე დიდ ქალბატონთან, უხვ მარიამთან, სამხმოვანებისგან როგორღაც უფრო გამოირჩეოდა შუა ბგერა, მაგრამ აქ ბგერა აუარება ხმიანებას მოიცავდა, ეს შუა ბგერა, რომელსაც ერქვა „ძე“, იყო მბრძანებლურიც და მუდარიანიც, „არამოიღო... არა... არა... არა ჰქმნე...“, და, „გიყვარდეს... გიყვარდეს... პატივ-ეც...გიყვარდეს...გიხაროდენ.“

- მეც საქართველო უფრო ავირჩიე, შვილო, შენი ქვეყანა.

იმას ხმა ჰქონდა რომ, ეკლესიაზე მთვარის შუქსა ჰგავდა.

და ისევ, ისევ ტიროდა ნეტარებით გაოგნებული გოგონა, „მე აქ ასე ძალიან ვარ და... ჩემებმა რა იციან..

- უნდა იცოდნენ წესით, შვილო.

და რადგან გოგონას მაინც შერჩენოდა რაღაც ჩვენური, ქვემოური, იჭვი, რადგან გოგონა მაინც ისევ — როგორის ნაზის მოფერებით — საყვარელი შტერუკანა იყო, დიად ნათქვამზე: „უნდა იცოდნენ წესით, შვილო“, აკი არ დასცდა: „მართლა?“

და ამ უცაბედი შეეჭვებისა გამო შერცხვა და ისე მოიბუზა, გინდაც მის თავზე ხელმეორედ შეემართათ ბარიანი გაწაფული ხელი, მაგრამ დიადმა ქალბატონმა გულზე მიიკრა, დედათაგან უნეტარესმა კარგად იცოდა იქ, ქვემოთ, აქაც, ჭრილობიანი ტკივილის ფასი, რა ხანმა განვლო, მაგრამ შვილის ნალურსმნალები ისევ ტკიოდა იესოს დედას, ვინც ადრე, აქა, გაოგნებული შესცქეროდა ბრბოს, გაავებულ, სიმწრით დაღმეჭილ სახეებს, რომ უსასრულობამდე უკეთესი ძე კაცისაი მოუვიდათ და იხილეს, იხილეს, ნახეს, დაიჯერესა და ამიტომ სიმწრით გაჰყვიროდნენ: „ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ ეგე!“, და თავიანთი ვითომც მოქნილი და მაინც უგუნური ჭკუით დასცინოდნენ კიდეც, ვითომ — ბასრ ეკალთაგან შეთხზული გვირგვინი დაადეს თავზე — “მეუფე ხარა?“, და ყუჩ იესოს ნათელ შუბლზე ცისფრად ფაქიზი სისხლი სდიოდა, იცინეს, იცინეს ვითომ, მერე ისევ გაბალღამდნენ და ისედაც უბრალო ტანსაცმელი შემოაფლითეს, ჯოხებს ურტყამდნენ, ყვრიმალში სცემდნენ, ჰნერწყვიდნენ კიდეც!, უბადრუკები, იმას ჰნერწყვიდნენ, ვინც ერთხელ ,,უპყრა ხელი ბრმასა მას და განიყვანა იგი გარეშე დაბასა და ჰნერწყვიდა თვალთამისთა“, და მოარჩინა, და სწორედ იმას, იმ ნერწყვის მალამოდ უფალს, თავიანთი ბინძური და გაცოფებულის დუჟით ჰნერწყვიდნენ, გიზგიზა ბოროტებას შეცოცებულებმა, აღარ იცოდნენ ერთიმეორისათვის იმ თავიანთ საქმეში როგორ ეჯობნათ და, უკვე ჯვარზე მილურსმულს, მწყურვალს ისე რომ, ჩვეულებრივი ადამიანივით, დაიკვნესა კიდევაც: ,,მწყურის“, და ორიოდ ყლუპ წყალს კი არა, შუბზე წამოგებულ ძმრიან ღრუბელს აჩრიდნენ იმ ბაგეებში, რომელთაგანაც ბევრჯერ ითქვა: ,,გვიყვარდეს ერთმანეთი“, და მერე იმის სიკვდილს ვეღარც დაუცადეს და ბინძურსულსწრაფობით მკერდში აძგერეს მახვილი, მაგრამ იმისადმი სიძულვილი გასაგები იყო, რადგან მთელის არსებით შურდათ, თუმც თავიდან მისი არსებობა ხალხის ჯგროს კი არა, შედგომილებსაც კი უკვირდათ: ,,მოძღუარ, არა ჰზრუნავ, რამეთუ წარვწყმდებით? და აღდგა და შეჰრისხნა ქარსა მას და ზღუასა და ჰრქუა: დადუმენ და პირი დაიყავ. და დასცხრა ქარი იგი, და იქმნა დაყუდება დიდ. და ჰრქუა მათ: რაისა ესოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნოებაი? და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინ-მე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაიცა ერჩიან მას?“, სხვებმაც გაიგეს, და დაინახეს დიდშემძლეობა მისი, და იცოდა დიდმა მარიამმა, კარგად იცოდა შური — ადამიანთა ზნე, მაგრამ ამან, ამ გოგონამ, ასე პატარამ, რა დააშავა რომ საგულდაგულოდ ალესილი ბარი — ყოვლად შეუსაბამობავ! მიწა-კეთილის იარაღი! — აღმართეს მასზე!!, და კარგად იცოდა ყველაზე დიდმა ქალბატონმა ტკივილის ფასიც, რადგან იმისმა შვილმა იესომ, ჯვარზე გაკრულმა, ზედ მოკვდომის წინ ვეღარ მოითმინა და დაიჩივლა, ასე წამოსცდა: ,,ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე?“ და, ,,ხმა-ყო იესო ხმითა დიდითა“, და ორიოდ დღით მიიცვალა, და თუმც ახლა ყველაზე დიდი ქალბატონის ერთიღა შვილი იესო ქრისტე, ნაზარეველი, თავად თავადი, ყველაზე დიად სამხმოვანებაში უზენაესის შემდგომ ჟღერდა, იმ ნალურსმნალებს მაინც, ახლაც კი, აღზევებული, დაატარებდა და მზე-მარიამმა ისევ მაგრად ჩაიხუტა გულში გოგონა, ჭრილობაზე აკოცა, უთხრა:

მართლა.გოგონა კი ძალიან დაიხარა და ფეხზე კოცნა ვერ გაუბედა, კალთაზე ემთხვია. მთელი თავისი არსებით ეამბორებოდა ტანსაცმლის კალთას და იქვე ორი ღამაზი ფეხის მტევანი დაინახა, ოღონდ მთლად დაკაწრული, გადაყვლეფილი...

- ნინოა ესე, ჩემი და შენი. ეთქვა.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

მადლიერება

დედოფლისწყაროს № 2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლები მადლობას ვუხდით ამავე ბაღის აღსაზრდელის ლიზი მენთეშაშვილის მამას - ვალერი მენთეშაშვილს იმისთვის, რომ მან ბაღის ყველა ჯგუფის ბავშვს დასდო პატივი და ოთხივე ჯგუფის ხალიჩა თავისი ხარჯებით სამრეცხაოში გაარეცხინა. მადლობა ბატონო ვალერი, ამ სიკეთისთვის, ღმერთმა გაგახაროთ და გვიმრავლოს ასეთი მშობლები.

პატივისცემით,
დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლები

უახლოესი მეზობლები: ბაბუცი ჯორკოშვილი, ფატი ზურაშვილი, მზია ავსაჯანიშვილი, ნინა ყოჩიაშვილი, დარიკო სუხიაშვილი იუწყებიან ჯემალ ელიზბარაშვილის დის

ნიაზი იაშვილი-ელიზბარაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. დაიკრძალა 6 აპრილს, ქ. ლაგოდეხში

ერთი დღე ხელოვნების სამყაროში

მე ნათია თავაძე ვარ, დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის V კლასის მოსწავლე. დიდი სურვილი გამიჩნდა, თქვენთვის გადმომეცა ის შთაბეჭდილება, რომელიც მე განვიცადე, როდესაც ვნახე გრიბოედოვის სახელობის თეატრში ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასის მიერ დადგმული ბალეტი ბალანჩინის პროგრამით. ამაში დაგვეხმარა იდეის ავტორი და ორგანიზატორი, ხელოვნების სკოლის განყოფილების უფროსი ლია ხაჩიაშვილი და დირექტორი მარიამ კიკილაშვილი.

ბალეტი, როგორც ყველა ბავშვს, ნანახი მაქვს ტელევიზორის საშუალებით, მაგრამ, როდესაც ეს ყველაფერი ცხადში ვნახე - მოძრაობები, მიმიკები, ჩაცმულობა -ჩემთვის ნათელი ხდებოდა ბალეტის შინაარსი, რასაც მე ტელევიზორიდან ვერ აღვიქვამდი.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო ის იყო, რომ კულისებში დავინახეთ ნინო ანანიაშვილი და წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ლია ხაჩიაშვილის დახმარებით, გადავიღეთ ფოტოები და ავტოგრაფიც ჩამოვართვით.

ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება ასევე სტუმრობა საკრავთა მუზეუმში, რომელიც იმავე დღით დავათვალიერეთ. ვნახეთ ხალხური და ევროპული საკრავთა დარბაზები და მოვისმინეთ ყველა საკრავის ჟღერადობა.

ამ საკრავებიდან გამოვარჩევდი მინი-ორღანს, რომელზეც გიდმა

შეგვისრულა შუბერტის ავე-მარია. გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები. მუზეუმიდან გამოსვლის შემდეგ, საბაგირო გზის საშუალებით, დავტკბით თბილისის ულამაზესი ხედით. ვისეირნეთ მშვიდობის ხიდზეც.

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და დასამახსოვრებელი დღე.

იმედი მაქვს, ხელოვნების სკოლის დირექცია კიდევ იზრუნებს, რომ გაგვილამაზოს ჩვენი ბავშვობის წლები.

„ჩემპიონმა“ საუკეთესო შედეგი აჩვენა

30 მარტს ქ. თბილისში, დიღმის სპორტულ კომპლექსში საქართველოს ტაილანდური კრივისა და კიკ-ბოქსინგის ფედერაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი კიკბოქსინგში.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქების გუნდებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დედოფლისწყაროს კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის გუნდმა „ჩემპიონმა“, რომელსაც თამაზ ყარაგვეზაშვილი ხელმძღვანელობს.

საქართველოს კიკ-ბოქსინგის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ჯავახიამ გამარჯვებულის სიგელით 9 დედოფლისწყაროელი სპორტსმენი დააჯილდოვა, რაც საუკეთესო შედეგია აღნიშნულ შეჯიბრზე.

„აღსანიშნავია, რომ სპორტის ეს ულამაზესი სახეობა დღითიდღე პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში და საქართველოში განსაკუთრებით იზრდება სპორტსმენთა ტექნიკური დონეც და მიღწევებიც საერთშორისო ასპარეზზე. დედოფლისწყაროს გუნდი აღნიშნულ ტურნირზე ტრადიციულად კარგად გამოვიდა,“ — განუცხადა „შირაქს“ თამაზ ყარაგვეზაშვილმა.

გამარჯვებული სპორტსმენები არიან: ლუკა მოდებაძე, ლაშა ლეკაშვილი, თორნიკე ლეკაშვილი, მალხაზ ჯაგაშვილი, გაფკაზ მამედოვი, დავით გაბიდაური, ზაზა ტოკლიკიშვილი, მინდია ჭინჭარაული, შალვა მოსაშვილი.

დედოფლისწყაროელი სპორტსმენების შემდეგ მეორე და მესამე ადგილები გადაინაწილეს ქ.თბილისის და ქ.გორის გუნდებმა.

ნუგზარ ყარაგვეზაშვილი

მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში

2013 წლის 14 მარტს ქ. დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში, გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა მკლავჭიდში.

შეჯიბრში მონაწილეობდა ხუთი წონითი კატეგორია. 60, 70, 80 წონით კატეგორიაში მონაწილეობდნენ 18 წლამდე ასაკის მოზარდები. 80კგ და ზემოთ წონით კატეგორიაში უფროსი ასაკის სპორტსმენები.

შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

60 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა ნიკა ჯერვალიძემ(არხილოსკალო), მეორე ადგილი - ლევან ბუთხუზმა (ქვ. ქედი), მესამე ადგილი - ალექსი წიკლაურმა (არხილოსკალო).

70 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა დავით წიკლაურმა (ზემო ქედი), მეორე ადგილი - ბექა ბუჩუკურმა (ზემო ქედი), მესამე ადგილი - მამუკა ყეინიშვილმა (ქ. დედოფლისწყარო).

80 კგ. წონით კატეგორიაში (მოზარდები) პირველი ადგილი დაიკავა ზაზა კაკალაშვილმა (არბოშიკი), მეორე ადგილი - ირაკლი წიკლაურმა (არხილოსკალო), მესამე ადგილი - აჩიკო წიკლაურმა (არხილოსკალო).

80 კგ. წონით კატეგორიაში (უფროსი ასაკი) პირველი ადგილი დაიკავა გელა ნეკრესელაშვილმა (არხილოსკალო), მეორე ადგილი - გიორგი ჭიკაიძემ (ზემო ქედი), მესამე ადგილი გოჩა ფხიკლაშვილმა (გამარჯვება).

80 კგ. - ზე მეტ წონით კატეგორიაში (უფროსი ასაკი) პირველი ადგილი დაიკავა ზაზა კობაიძემ (არხილოსკალო), მეორე ადგილი - ილია კობაიძემ, მესამე ადგილი - ივანე ნასიძემ(ქ. დედოფლისწყარო).

შეჯიბრის ბოლოს, პირველ ადგილზე გასული სპორტსმენები, კულტურისა და სპორტის ცენტრის მიერ დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე გასულებს გადაეცათ დიპლომები. მათ საჩუქრები გადასცა კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორის მოადგილემ ქალბატონმა ნინო ნიკვაშვილმა.

შეჯიბრს მსაჯობდნენ გიორგი ჯიხვიშვილი, გელა ნეკრესელაშვილი და სოსო უთრუთაშვილი. მთავარი მსაჯი და მწვრთნელი - გიორგი ბექაური.

შეჯიბრის ორგანიზატორი გახლდათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი მამუკა ალადაშვილი.

კავკასიის პირველობა

23-24 მარტს თბილისმა ტრადიციულად უმასპინძლა კავკასიის პირველობას ბრძოლა K-1-ის წესებით და MMA-ში. მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის და სასომხეთის სპორტული კლუბები. კლუბ „ზაქებიდან“ მონაწილეობდა ერთი სპორტსმენი. მან მონაწილეობა მიიღო MMA-ში. ბოლო დროს გავრცელებულმა ვირუსებმა შეგვიშალა ხელი ვარჯიშში და რადგან სპორტსმენები ფორმაში არ იყვნენ, ძირითადი შემადგენლობით ვერ მივიღეთ მონაწილეობა. მხოლოდ გიორგი ნატროშვილი გავიდა MMA-ში. მან ვარჯიშის დროს ხელზე ტრამვა მიიღო, მაგრამ გიორგის შეჯიბრის გარეშე თავი ვერ წარმოუდგენია, მან მოზღვავებული ენერგია შეჯიბრზე უნდა გახარჯოს. აღსანიშნავია ის, რომ გიორგიმ არჩია ორი წლით უფროსებთან გასვლა, რადგან თავის ტოლებში რინგზე შესვლისთანავე გამარჯვებული ბრუნდება. ამჯერადაც ბედი სცადა უფროსებში და საუკეთესო შედეგიც აჩვენა. ფინალში საკმაოდ გამოცდილ მებრძოლთან მოუხდა შერკინება. შეჯიბრის ორგანიზატორის და მწვრთნელთა გადაწყვეტილებით ორრაუნდიანები ჩატარდა. ორივე რაუნდს იგებდა გიორგი, როცა ბოლო წამებზე სომეხმა სპორტსმენმა ის მტკივნეულ ილეთზე დაიჭირა, მაგრამ ამ დიდ დაძაბულობაში გიორგი არ დანებდა და შეჯიბრის დროც ამოიწურა. გიორგი გამარჯვებული დარჩა. ისე რომ, გიორგი 2012-2013 წ. კავკასიის ჩემპიონია MMA-ში. მადლობას ვუხდით ბ-ნ ი. გიგოლაშვილს თანადგომისათვის.

უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

ვიოლეტა ნატროშვილს!

ვიოლეტა ექიმო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ სულ ასეთი ლამაზი და ახალგაზრდული შემართების ყოფილიყავით, რათა კიდევ დიდხანს იზრუნოთ პაციენტების ჯანმრთელობის დაცვისთვის.

სიყვარულით,
ზემო მაჩხაანის ამბულატორიის თანამშრომლები

დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძეს!

მამა ნიკოლოზ, გილოცავთ დაბადების დღეს, გმადლობთ იმ დიდი სითბოსთვის, თანადგომისთვის და სულიერი ნუგეშისთვის, რასაც ჩვენს მიმართ იჩენთ. დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენს მშვენიერ ოჯახთან ერთად.

დიდი სიყვარულით
და ღრმა პატივისცემით
თქვენი მადლიერი მრევლი

დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძეს!

მამა ნიკოლოზ, გილოცავთ დაბადების დღეს. იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი თქვენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. იცოცხლეთ დიდხანს ჩვენს საიმედოდ და სანუგეშოდ.

პატივისცემით,
გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები

ამინდი

დედოფლისწყარო

შაბათი 06. 03	კვირა 07. 03	ორშაბათი 08. 04	სამშაბათი 09. 04	ოთხშაბათი 10. 04	ხუთშაბათი 11. 04	პარასკევი 12. 04
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
19 ° 11 °	22 ° 17 °	18 ° 15 °	18 ° 10 °	13 ° 11 °	11 ° 10 °	9 ° 7 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნარა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); მიხეილ მლეგრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K